ცნობის ფურცელი

№ 1843 ხუთშაბათი, 20 ივნისი **1896—1902** ყოველ-დღიური გამოცემა **№ 1843**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ჯაბკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

კვირას, 23 ივნისს, პოდპოლკოვნიკის

თავადის კონსტანტინე დავითის ძის გედევანიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, დილის 11 საათზე, გადახდილ იქმნება წირვა მცხეთის საკათოლიკოზო ეკკლესიაში და პანაშვიდი ამ ეკკლესიის გალავანში, განსვენებულის საფლავზე. (1—1)

ანნაური ჯიბო ზურაბის ძე, ვლადიმირ ჯიბოს ძე და ილია ვლადიმირის ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას, პირველნი რძლისას, ხოლო უკანასკნელი საყვარელი მეუღლისას თვისისა

ლიზა სოლომონ წერეთლის ასულისა,

რომლის გასვენება არის დანიშნული ამა ივნისის 23 დღით, კვირას, დილის ცხრა საათზე. ს. ცეცხლში, შორაპნის მაზრაში. (2—1)

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნ. ფურცლის“ და ჟურნალ „მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ ხვედრი ფულის გამოგზავნა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ივლისიდან გაზეთ-ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ მათ, ვინც არ შემოიტანს ხვედრ ფულს.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ნ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი და ნერვებისა სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კამოკვლ.)

ნ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274 (წლ.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

მდგომარე წლის 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ამხანაგობის სადგომში (ვანქის ქუჩაზე) დანიშნულია მორიგი კრება

წ ი გ ნ ე ბ ი ს გ ა მ ო მ ც ე მ ე ლ

ქართველთა ამხანაგობისა

განსახილველია:

1. წარსული წლების ანგარიშები.
2. კითხვა პირობის მე-4 და 6 მუხლთა შესახებ.
3. კითხვა პირობის მე 10 მუხლის ზოგიერთ ადგილების შესახებ და აგრეთვე მდივნის თანამდებობის შესახებ.
4. არჩევა სარევიზიო კომისიისა.

მხოლოდ იმ წევრთ შეუძლიანთ კრებაზე დასწრება, ვისაც ამხანაგობის პაი თავის ხელში აქვთ.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასსისტენტი

ე ქ ი მ ი

ა. ი. გალარჯაშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—9)

საშუალო სკოლის რეფორმის საქმე

—

მკითხველებს ამას წინად ვაუწყეთ, თუ რა შეიმუშავა საშუალო სკოლების უფროსთა კომისიამ ამ სკოლის პროგრამის შესახებ მომავალ სამოსწავლო წლისათვის. რადგანაც ამ პროგრამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ როგორ მოეწყობა საშუალო სკოლა ახლო მომავალში, ამიტომ საჭიროდ ვთვლით დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველთ კომისიისაგან შემუშავებული პროგრამმა და აგრეთვე ვაუწყოთ ის, თუ როგორ ასწორებს ამ პროგრამას სამეცნიერო კომიტეტი.

საშუალო სასწავლებელთა უფროსების კომისიამ ჯერ განიხილა და შეიმუშავა რეალურ სასწავლებლის პროგრამა. რადგან პროგრამა უნდა შესდგეს მხოლოდ მომავალ წლისათვის, ამიტომ ჯერ დაპირაკია მარტო პირველ 4 კლასის შესახებ. რეალურ სასწავლებლის პროგრამა ძალიან ნაკლებ იქმნა შეცვლილი. აქ ვხედავთ ბუნების მეტყველებას (природовѣдѣніе), რომელსაც 1-ლ კლასიდანვე ასწავლიან, შემდეგ ორ ახალს ენას—გერმანულსა და ფრანგულს და სხვა ჩვეულებრივ საგნებს. კომისიის შემუშავებული პროგრამა სამეცნიერო კომიტეტმა ცოტაოდენის უმნიშვნელო ცვლილებით დაამტკიცა. მოგვყავს აქ ეს დამტკიცებული ცხრილი რეალურ სასწავლებლის 4 კლასის პროგრამისა:

	I კლ.	II კ.	III კ.	IV კ.
სამღვთო სჯული . .	2	2	2	2
რუსული ენა . . .	5	5	4	4
მათემატიკა	4	4	4	6
ისტორია	2	2	2	2
გეოგრაფია	2	2	2	2
გერმანული ენა . .	5	6/3	5	4
ფრანგული ენა . . .	—	3/9	5	4
ბუნების მეტყველება .	2	2	2	2
ხატვა	2	2	2	2
სუფთა წერა	2	—	—	—
ხაზვა-ხატვა . . .	—	—	2	2

უფრო საყურადღებოა კლასიკური სკოლის მომავალი პროგრამა. ამ მხრით საშუალო სკოლების უფროსთა კომისია და სამეცნიერო კომიტეტი ვერ შეთანხმდნენ და ორი განსხვავებული პროგრამა შეიმუშავეს. 1-ლ და მეორე კლასების შესახებ კომისიაც და კომიტეტიც ერთნაირის აზრის არიან და თითქმის ერთნაირი პროგრამა წარმოადგინეს; ეს პროგრამა ძალიან ცოტათი განსხვავდება რეალურ სკოლის 1-ლ და მე-2 კლასების პროგრამისაგან. მაგრამ მე-3 და მე-4 კლასების პროგრამა კომისიას და კომიტეტს სრულიად განსხვავებულად შეუდგენიათ. განსხვავება შეეხება ლათინურსა და ბერძნულს ენებს.

კომისიის პროექტით, მომავალში უნდა იქმნას ორგვარი კლასიკური სკოლა: 1) უმეტეს ნაწილად უნდა იყოს კლასიკური სკოლა, რომელშიაც მხოლოდ ერთ ძველ ენას (ლათინურს) ასწავლიან; 2) ზოგიერთ ქალაქში კი დარჩება თითო გიმნაზია, სადაც ორივე ძველი ენა ისწავლება—ლათინურიცა და ბერძნულიც. 1-ლ ტიპის კლასიკურს სკოლაში ლათინური ენის სწავლება დაიწყება მე-3 კლასიდან, მე-2 ტიპის სკოლაში კი—ლათინურისა ისევ მე-3 კლასიდან, ბერძნულისა მე-4 კლასიდან. სამეცნიერო კომიტეტს უარუყვია კლასიკურ სკოლის ორ ტიპად დაყოფა და ისეთი პროგრამა შეუმუშავებია, რომელიც უახლოვდება ახლანდელ კლასიკურ სკოლის პროგრამასას. ესე იგი, არსებობს ყველგან ერთგვარი გიმნაზია ან პროგიმნაზია, სადაც ლათინურიც ისწავლება და ბერძნულიც; ტოლსტოიდელიანოვის სკოლისაგან ის განირჩევა მხოლოდ იმით, რომ ძველი ენები 1-ლსა და მე-2 კლასებში აღარ იქნება.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მეტად თვალსაჩინო განსხვავებაა კომისიისა და კომიტეტის პროგრამებს შორის: თუ კომისიის აზრმა გაიმარჯვა, რუსეთს მართლა მთელის განახლებული საშუალო სკოლა (თუმცა არა ისე რადიკალურად, როგორც გე. ვანნოვსკის პროექტში იყო); ხოლო თუ სამეცნიერო კომიტეტის აზრმა გაიმარჯვა, მაშინ საშუალო სკოლის პროგრამმა მხოლოდ შეიცვლება, სკოლა-კი განუახლებელი დარჩება.

რათა უკეთ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რა განსხვავებაა დირექტორების კომისიისა და სამეცნიერო კომიტეტის პროგრამებს შორის, მოგვყავს აქ ორივე ცხრილი.

I. საშუალო სკოლების უფროსთა კომისიის ცხრილი:

	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	
				სადაც მხოლოდ ლათინურია.	სადაც ორივე ენაა
სამღვთო სჯული. . .	2	2	2	2	2
რუსული ენა.	5	5	4	4	4
ლათინური .	—	—	4	5	4
ბერძნული .	—	—	—	—	4
მათემატიკა .	4	4	4	4	4
ისტორია . .	2	2	2	3	3
გეოგრაფია .	2	3	2	2	2
1-ლი ახ. ენა.	5(გერ.)	5	3	3 (4)	2
მე-2 ახ. ენა.	—	5	3	4 (3)	3
ბუნების მეტყველ. . .	2	2	2	—	—
ხაზვა-ხატვა .	2	2	1	—	—
სუფთა წერა.	2	1	—	—	—
სულ .	26	26	27	27	27

II. სამეცნიერო კომიტეტის ცხრილი:

	I კლ.	II კლ.	III კ.	IV კ.
სამღვთო სჯული. . .	2	2	2	2
რუსული ენა	5	5	4	4
ლათინური	—	—	5	5
ბერძნული	—	—	—	4
მათემატიკა	4	4	4	4
ისტორია	2	2	2	3
გეოგრაფია.	2	2	2	3
გერმანული	5	6/3	3	2
ფრანგული	—	3/6	3	2
ბუნების მეტყველ. .	2	2	2	2
სუფთა წერა. . . .	2	—	—	—
ხაზვა-ხატვა	2	2	1	—
სულ . . .	26	28	28	29

აი ის ორი პროექტი, რომელიც ახლახან შემუშავდა კლასიკურ სკოლის პროგრამის შესახებ. თუმცა ეს პროგრამა შეეხება მარტო მომავალ წელს, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ამ პროგრამის მიხედვით გადაწყდება საკითხი მომავალ საშუალო სკოლის შესახებ. ჩვენის მოკლე განხილვიდანაც სჩანს, რომ ამ ჟამად ერთმანეთში ვერ თანხმდება ორი აზრი: ერთი უფრო უახლოვდება გენ. ვანნოვსკის რადიკალურ პროექტს და ამბობს, რომ საშუალო სკოლა უნდა განახლდესო, რისთვისაც ბერძნული ენა სრულიად უნდა განიდევნოსო, ხოლო ლათინური მესამე კლასიდან უნდა იწყობოდეს; მეორე აზრი საშუალო სკოლას სრულიად არ არყევს და მხოლოდ ამსუბუქებს მოსწავლეთ იმით, რომ ლათინური და ბერძნული ენა მესამედანა და მეოთხე კლასიდან იწყება. 1-ლ აზრის მომხრენი არიან საშუალო სასწავლებელთა უფროსები, ესე იგი, ისინი, ვინც დაახლოვებულნი არიან სკოლასთან და ბავშვებთან, ვინც უფრო იცის მშობელთა სურვილიცა და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებაც; მეორე აზრს იცავენ სამეცნიერო კომიტეტის წევრნი, ესე იგი, ცენტრალურ მმართველობის მოხელენი, რომელნიც მრავალ წლების განმავლობაში ერთგული თანამშრომელნი იყვნენ ძველ კლასიკურ სკოლის შემქნელთა და გამაძლიერებელთა და რომელნიც ფრიად შორს სდგანან სკოლისა და ცხოვრებისაგან... თქმა არ უნდა, რომ საზოგადოების სიმპატია 1-ლი აზრის დამცველთ ეკუთვნის. მოკლე ხანში ორთავე პროგრამას განიხილავს საერთო განათლების მინისტრის საბჭო და ვნახოთ, რომელი გაიმარჯვებს.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ახალი სამინისტრო ჯერჯერობით გულმოდგინედ ეკიდება რესპუბლიკის გამაგრების საქმეს. ეს საქმე დიდი და მძიმე საქმეა. ის კრიზისი, რომელიც

საფრანგეთის რესპუბლიკამ გამოიარა, პარიზში ნაციონალისტთა გამარჯვება (საბჭოში და პარლამენტში), ცხადი მაჩვენებელია იმისი, თუ რა სიფრთხილე მართებთ რესპუბლიკელებს. ვინც საფრანგეთის ცხოვრებას ცოტად მაინც იცნობს, მან კარგად იცის, რომ ჯარში, ფლოტში და სამოქალაქო დაწესებულებათა მოხელეთა შორის, არსებობს ისეთი ელემენტი, რომელიც მხოლოდ მარჯვე დროს ელის, რომ ყელი გამოსჭრას „მარიან“-ს (რესპუბლიკის ხალხური წოდება). მეტადრე ოფიცრები პატარაობითვე კონგრეგაციების სკოლებში იზრდებიან და შემდეგშიც არა სწყვეტენ მათთან ერთობას, რადგან, დღემდე მაინც, კლერიკალების დახმარება საჭირო იყო სამსახურში დაწინაურებისათვის. სასულიერო წოდებას თავისი სკოლები აქვს, თავისი უნივერსიტეტი.

განათლების საქმეში იგი დღემდის ბატონი იყო. შედარებით რომ ავიღოთ მოსწავლეთა რიცხვი მაღალ სასწავლებლებში, სპეციალურია იგი, სამხედრო თუ სამოქალაქო, კონგეგაციების საშუალო სკოლებში გათავებულთ ყველგან გაცილებით მეტი ადგილი უკავიათ. ეს აიხსნება კლერიკალების გაიძვერაობით და მოხერხებით და მით, რომ ისინი ვითომ უკეთ ამზადებდნენ თავის მოწაფეებს, როგორც ზოგიერთ სურთ დაამტკიცონ. სენ-სირის სამხედრო სკოლა სულ სავსეა რესპუბლიკის მოწინააღმდეგე მოწაფეებით და უნდა გაგაგონათ, რა დაცინვით და ირონიით ლაპარაკობენ ლუბეზე, რომელსაც თურმე არ შეუძლია დიდის და სახელოვანის საფრანგეთის წარმომადგენლობა. მათი აზრით, მის წარმომადგენელს აჭრელებული მუნდირი უნდა ეცვას. ამასვე ქადაგებენ კლერიკალებიც, რესპუბლიკის დაუძინებელნი მტრები, მათი მომხრენი. ამ ნაზი ერთსულობის ბრალია, რომ დრეიფუსის საქმის დროს, ისე, როგორც ყოველ რეაქციონურ საქმეში, მთელი კლერიკალური პრესსა გენერალი მერსიეს, ჰანრის და ჰესტერჰაზის ადვოკატად გამოვიდა. ერთი სიტყვით, სადაც ხმალია, უსუპიც იქ არის და ამიტომ რადიკალური პრესსა „ხმალის და უსუპის“ ერთობას უწოდებს სამხედრო და სასულიერო წოდების ერთობას. საფრანგეთის ფლოტი ნამდვილი ბუდეა კლერიკალიზმისა. კამილ პელტანი, რომელიც პარლამენტში და გაზეთ „მატენ“-ში განუწყვეტლივ ებრძოდა ამ მოვლენას, ახლა, როცა თვით გახდა ზღვათა მინისტრად, უეჭველია, ეცდება ბოლო მოუღოს კლერიკალიზმის ბატონობას.

მოსალოდნელი იყო, რომ კომბის ცირკულიარი, რომლითაც მან მიჰმართა პრეფექტებს, ჭკუაში არ დაუჯდებოდათ ნაციონალისტებს და საზოგადოთ ანტი-რესპუბლიკელებს. პრეფექტები თუმცა განირჩევიან ჩვენი გუბერნატორებისაგან, მაგრამ მათსავით დიდი უფლებები აქვთ და დეპარტამენტს (გუბერნიას) განაგებენ. აი, ამ უმაღლეს მოხელეებს მიმართა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, კომბმა, შემდეგი ცირკულიარით, და აცნობა მათ, რომ ამიერიდან მთავრობა ითხოვს სახელმწიფო მოხელეთაგან რესპუბლიკის ერთგულებასაო. „ამომრჩეველთ ეს ეს არის ცხადათ გამოსთქვეს თავისი სურვილი ჩვენი რესპუბლიკანურ დაწესებულებების შენახვის და მათი განვითარების შესახებ; კაბინეტი, რომლის მოთავე მე ვარ, თავის მოვალეობად სთვლის და გარდაწყვეტილი აქვს მიჰყვეს ამომრჩეველთა მიერ ნაჩვენებ გზას. თქვენს დეპარტამენტში, ბ. პრეფექტო, თქვენს ხართ ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენელი. თქვენ მოვალე ხართ პოლიტიკური გავლენა იქონიოთ მთავრობის ყველა დაწესებულებაზე: მათ უფროსთ, რომელთაც შესაფერი ავტონომია აქვთ მინიჭებული ადმინისტრატიულ საქმეთა მართვაში, არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ უნდა მოქმედებდნენ უმაღლეს პოლიტიკურ შეხედულებათა თანახმად. ურთი-ერთ შეთანხმების შემდეგ მე და ჩემმა ამხანაგებმა გადავსწყვიტეთ, რომ მოხელის ადგილზე დანიშვნა და სამსახურში წინ წაწევა თქვენს დეპარტამენტში მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ თქვენ კარგ აზრს წარმოადგენთ კანდიდატის შესახებ“.

ამ განკარგულებას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება რესპუბლიკელთათვის, ამიტომაც მთელი რეაქციონური გაზეთები ჰკიცხავენ კომბს და ამტკიცებენ, სამინისტროს ჰსურს აზრის თავისუფლება წაართვას მოხელეებს და კარიერისტები და მაბეზღრები შეჰქმნასო. მაგრამ ყველას კარგად ესმის, რის შიშიც აქვთ რეაქციონერებს და ან რა საშინლად სძულთ მათ კარიერისტები და მაბეზღარნი. სამაგიეროდ, რადიკალურს პრესსას მოსწონს ეს ზომა. იმპერიის დროს არამცთუ სამსახურში არ იღებდნენ რესპუბლიკელებს, საპყრობილეში ამწყვდევდნენ და ჰკარგავდნენ. რესპუბლიკამ რაღათ უნდა იყოლიოს მონარხისტები და კლერიკალები მოხელეებათო. მხოლოდ, რადიკალების აზრით, კომბს ჯერ თვით პრეფექტები უნდა გამოეცვალა, რადგან მათ შორის ბევრია ისეთი, რომლის ერთგულება რესპუბლიკისადმი ძალიან საეჭვოაო.

გაზეთები იუწყებიან აგრეთვე, რომ კომბის სამინისტროს აზრად აქვს დიდი ყურადღება მიაქციოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს. აქამდის მიღებული იყო, რომ დიდ სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებში სადიპლომატო ადგილებზე ყოველთვის არისტოკრატიულ გვარის პატრონებს ნიშნავდნენ, რომელნიც ხშირად მტრულად ეკიდებიან რესპუბლიკასაო. ზოგიერთ ელჩების საქციელმა კონგრეგაციების წინააღმდეგ კანონის შესახებ დაამტკიცა, რომ ისინი საფრანგეთის მთავრობის კი არა, უფრო ბერთა ორდენების წარმომადგენელნი ყოფილანო. ამბობენ, ჯერ-ჯერობით სამ საელჩოს მოელის ცვლილებაო.

რესპუბლიკელთა ასეთ პოლიტიკას კლერიკალები და რეაქციონერები „ტერრორს“ უწოდებენ. მაგრამ ეს არაფერია. ფრანგული ანდაზაა: a'laguerre comme a' le guerre. მხოლოდ ამგვარ ზომებს შეუძლიან თავ-აწყვეტილ რეაქციის ალაგმვა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

✦ ამ ჟამად, როგორც გვატყობინებენ, პეტერბურგში იბეჭდება და მალე გამოვა კიდეც ერთი საყურადღებო **წიგნი პროფესორის ცაგარლისა**, რომელსაც განუზრახავს საქართველოს რუსეთთან შეერთების ახალი მასალები გამოაქვეყნოს. ახალ წიგნში ბევრი მეტად საინტერესო ცნობაა თურმე მოთავსებული.

✦ პეტერბურგის უნივერსიტეტში წელს სწავლა **შემდეგმა ქართველებმა გაათავეს:** იურიდიული ფაკულტეტი—აფაქიძემ და უთნელიშვილმა, ბუნების მეტყველებისა—ავალიშვილმა და ანტონოვმა, ავალიშვილი და ანტონოვი ლაბორანტებად დაუნიშნავთ, პირველი ვარშავაში, ხოლო მეორე—პეტერბურგში.

✦ პეტერბურგშივე შემოდგომაზე **სწავლას დაამთავრებენ:** სამხედრო სამკურნალო აკადემიას—დ. მგელაძე და დედათა სამკურნალო კურსებს—მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი.

✦ **მარცვლოფის მონასტრის** თავდასხმის და გაძარცვის საქმე გამოსაძიებლად მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ბ-ნ ილიაშჩენკოს.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ გზათა უწყების კავკასიის ოლქმა 1000 მან. გადასდო წამხდარი გზის გასაკეთებლად **ფაზბეგსა და გუდაურს შუა**. საცალფეხო გზა გაკეთებულია.

✦ ამ დღეებში მოსკოვში მიემგზავრებიან ტფილისის **საშუალო სასწავლებლების შეგირდები**, სხვა-და-სხვა ქალაქებისა და მათის შესანიშნავი ადგილების სანახავად.

✦ **ქალაქის საბჭოს** შემდეგი სხდომა მოხდება პარასკევს, 21 ივნისს.

✦ ხვალ, 21 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, კომისიისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლების რაგოლერისა და რიდზინსკისა. მიწვეულნი არიან აგრეთვე ნაფიცი ვექილები შევალიე და ქალანთაროვი. ამ სხდომაზე საბოლოვოდ უნდა დაამთავრონ განხილვა ხელ-შეკრულებისა ტფილისში ელექტრონის ტრამვაის გამართვის შესახებ.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელ ქალებისა და კაცების **მიღება-დათხოვნაზე** უნდა იყოს დადგენილი წეს-რიგი. აქამდის მასწავლებლებს იღებდა სამსახურში ანუ ითხოვდა განსაკუთრებით სამოსწავლო კომისია სახალხო სასწავლებლების დირექციასთან შეთანხმებით. რადგანაც ამაზე ინსტრუქცია არ არის დამტკიცებული წესისამებს, ამიტომ ფიქრობენ, რომ მასწავლებლების მიღება-დათხოვნის უფლება მიათვისონ ქალაქის გამგეობას.

✦ გზათა ოლქის უფროსის თანაშემწე ინჟენერი სმირნოვი გაიგზავნა კახეთის გზის (შოსსეს) დასათვალიერებლად. ბ. სმირნოვს **საშაგელს მდგომარეობაში** უნახავს გზა: მინგრეულ-მონგრეული, უსწორ-მასწორო, წამხდარი... ყველა ეს უცნობებია ოლქისთვის.

✦ მიმდინარე წლის პირველ ივლისიდან ბაქოში არსდება **სანავოსნო სკოლა**.

✦ ყუბანის ოლქიდან იუწყებიან, რომ წელს მოსავალს მშვენიერი პირი უჩნდა, დიდ მოსავალს მოელოდნენ, მაგრამ ამ დღეებში **საშინელი სეტყვა მოვიდა**, თითო მარცვალი ქათმის კვერცხის ტოლა, და არამც თუ ნათესები სულ გაანადგურა, დიდძალი ფრინველი და საქონელიც გაჟლიტა. სეტყვამ ნახევარ საათს გასტანა და მცხოვრებნი სულ ცარიელზე დასვა.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზების სასტატისტიკო განყოფილება, რომელიც ტფილისის სადგურზე იყო მოთავსებული, ამ დღეებში **გადაიტანეს კერძო შენობაში გზების სამმართველოს შენობის მახლობლად**. ამის გამო 19 ივნისს ახალს სადგომში დეკანოზმა ნანობაშვილმა პარაკლისი გარდაიხადა. პარაკლისს დესწრნენ ამ განყოფილების მოხელენი და აგრეთვე უფროსები, მათთან გზის უფროსიც—ინჟენერი ივანოვსკი.

✦ რკინის გზების უფროსად ნამყოფის აწ გარდაცვალებულის ინჟენერ ვედენეევის მინდობილებით, ბ-ნი დანილოვიჩი შეუდგა **კავკასიის გზის მაჩვენებლის შედგენას**. ეხლა ეს გზის მაჩვენებელი მზად არის დასაბეჭდად, მხოლოდ უკანასკნელ რედაქციისათვის გზის მაჩვენებლისა დანიშნულია კომისია შემდეგ პირთაგან: ლიანდაგის უფროსის თანაშემწის ინჟენერ ალფონსკისა, ბ-ნთ გრაბოვსკისა, პავლოვსკისა და თითონ დანილოვიჩისაგან.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲢᲘᲞᲘ.

II*)

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულში და და მეცხრამეტის დასაწყისში ქართული ლექსები სპარსულ კილოზე იწერებოდა. სიმღერის საგანიც ისევ სპარსული იყო: მიწიერი სიყვარული და ყოველგვარი მიწიერი სიამოვნება. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც აღმოსავლეთის რომანტიზმის შინაარსს წარმოადგენს. ამნაირ კილოზე მღეროდა მეთვრამეტე საუკუნეში ბესარიონ გაბაშვილი, მეთვრამეტის დამლევს და მეცხრამეტის დასაწყისში-კი—ალ. ჭავჭავაძე. ამათი კილოთი დაიწყო წერა აგრეთვე გრ. ორბელიანმაც,**) ხოლო ამ დროიდანვე ეტყობა ევროპის გავლენა ქართულ ლიტერატურას, ევროპის გავლენა, რომელიც იმავ თავიდან ებრძოდა სპარსეთის გავლენას. ალ. ჭავჭავაძეს აქვს რამდენიმე ლექსი რუსულიდან და ფრანგულიდან ნათარგმნი. რუსულიდან ნათარგმნი ლექსი აქვს აგრეთვე გრ. ორბელიანს, რომელიც შემდეგში იცვლის თავის მიმართულებას და რომანტიზმს უფრო ევროპიულს უახლოვებს. ამ ევროპიულ რომანტიზმთან დაახლოვებასთან ერთად ის იცვლის სამღერალ თემასაც. პოეზიას ის აყენებს უფრო ნაციონალურ ნიადაგზე იმითი, რომ ქართულ რომანტიზმს საფუძვლად პატრიოტიზმი დაუდო. არც ხელოვნური, ნაძალადევი შეთანხმება იყო ეს შეთანხმება, რადგანაც გრ. ორბელიანის პატრიოტიზმი გამოიხატებოდა წარსულისადმი ტრფიალში და, რამდენადაც ეს წარსული მიუღწეველი იყო და მხოლოდ ლტოლვილების საგნათ იყო გადაქცეული, იმდენად შეეფერებოდა იგი წმინდა რომანტიზმს, რომელსაც არ შეუძლიან რეალური თემა ჰქონდეს აღებული თავის საგნად. ამგვარად ქართულ ლიტერატურაში წარსულისადმი ლტოლვილება იგივეა ქართული რომანტიზმისათვის, რაც მისტიციზმი ევროპიულისათვის. ეს უფრო უკეთესად სჩანს ვახ. ორბელიანის ლექსებში, რომელმაც გრ. ორბელიანის საქმე განაგრძო და ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრა ნაციონალიზმი და წმინდა, შეურევლი ევროპიული რომანტიზმი. საუკეთესო ნიმუში ამ ორის მიმართულებისა არის „იმედი“.

ნ. ბ—ლმაც ამათი საქმე განაგრძო. ამანაც დაიწყო იმავ რომანტიზმით და შეითვისა აგრეთვე წინამორბედებისაგან ნაციონალიზმი. ყოველივე ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ ლექსებს: „ბულბული ვარდზედ“, „ქეთევან“ და პოემა: „ბედი ქართლისა“. მაგრამ ამ მსგავსებასთან ერთად ნ. ბარათაშვილის და გრ. და ვახ. ორბელიანების შორის განსხვავებაც დიდია და ეს განსხვავება დამოკიდებულია მაშინდელ ცხოვრების ცვლილებაზე.

ყველამ კარგად ვიცით, რომ უუშესანიშნავესი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იყო საქართველოს რუსეთთან შეერთება და პოლიტიკური თვით-არსებობის დაკარგვა. ამ გარეგან ცვლილებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა შინაგანი ცვლილებაც და ასეც მოხდა: თუ რა იმედით შეუერთდა საქართველო რუსეთს, თუ რა ჰსურდათ ქართველებს და მის მოწინავე წოდებას, ეს მშვენიერათ აქვს გამორკვეული ზ. ავალიშვილს თავის წიგნში: „საქართველოს რუსეთთან შეერთება“. როგორც ამ წიგნიდანა სჩანს, ქართველებს უნდოდათ რუსეთთან ვასსალური დამოკიდებულება ჰქონოდა მხოლოდ მათ მეფეს და, რასაკვირველია, ამასთან ერთად შინაგანი წეს-წყობილებაც ფეოდალური შეერჩინათ. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდოდა ყოველივე ძველებური შეგვერჩინა, მხოლოდ სპარსეთის შაჰის მაგივრად რუსეთის მეფე გვყოლოდა სუზერენათ, ე. ი. საქართველოს ძლიერება აღგვედგინა ძველ ფეოდალურ ნიადაგზე. ბევრჯერ ჰქონდათ ქართველებს მეთვრამეტე საუკუნეში მიზეზი, ეს იმედები გაცრუებოდათ, ისინი კი მაინც იმედს არ ჰკარგავდნენ.

მაგრამ ნამდვილზე თვალების დახუჭვა შეუძლებელი იყო. მალე თავადობამ სრულიათ დაჰკარგა თავისი პოლიტიკური უფლება და გავლენა საქართველოს შინაგან თუ გარეგან პოლიტიკაზე. თავადობა გახდა მხოლოდ სოციალურ პრივილეგიებით აღჭურვილი წოდება, მაგრამ ეს სოციალური პრივილეგიები არ აკმაყოფილებდნენ მას. ის ცდილობდა ახალ დროს შეჰგუებოდა და ახლა სხვა გზით მოეპოვა თუ პოლიტიკური უფლება არა, პოლიტიკური გავლენა მაინც. ამას უნდა მივაწეროთ თავად-აზნაურობის სახელმწიფო და მეტადრე სამხედრო სამსახურისადმი ლტოლვილება, რაზედაც ჩვენ ლაპარაკი უკვე გვქონდა და რასაც თვით ბ—ლიც ვერ ასცილებოდა. რასაკვირველია, ზოგს ბედი გაუღიმებდა ხოლმე და რამე დიდ ალაგს მიაღებინებდა, როგორც, მაგ., მიიღო ორბელიანმა, მაგრამ ეს შემთხვევაზედ და პირად სიმარჯვეზედ იყო დამოკიდებული. მაშინ, როდესაც უწინდელი პოლიტიკური უფლებები დამოკიდებული იყო მხოლოდ გვარიშვილობაზედ და მამიდან შვილზე გადადიოდა, ეს შეუმჩნევლათ ვერ დარჩებოდათ თავადებს, მით უმეტეს, რომ ბევრნი იმათგანი წინ ვერ მიდიოდნენ და ძველი უფლებების დაკარგვის სამაგიეროს ახალ დროში ვერაფერს პოულობდნენ. ამიტომ შესდგა წრე, რომელიც დაადგა საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნების გზას, მაგრამ 1832 წ. შეთქმულების შემდეგ ხალხი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამ წრის იმედები ტყუილია, რომ იმათი სურვილის განხორციელება შეუძლებელია, რომ საქართველოს „სახელოვანი“ წარსული სამუდამოთ დაკარგულია. რადგანაც შეთქმულთა წრეს ეკუთვნოდა ს. დოდაშვილიც, ამიტომ იმის საქართველოდან გადასახლების შემდეგ იმის საქმეც (გაზეთის გამოცემლობა) უნდა ჩაფუშულიყო. აქ იყო კრიზისი ქართულის აზროვნობისა და ამიტომ სრულიათ ახალი რამ მოძრაობა უნდა დაწყებულიყო საზოგადოებაში. მომავალი თაობა სულ სხვა გზას უნდა დასდგომოდა. სანამ კი ამ ახალ გზას გამოირკვევდა, სანამ საქართველოს მაჯის ცემა უნდა მინელებულიყო. ამიტომაც არის, რომ ამ დრომდის საზოგადოებაში უფრო

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1842.

**) მაგ. ბ. გაბაშვილის ლექსი: „სევდის ბაღს შეველ შენაღონები“... ალ. ჭ—ძის და გრ. ორბელიანის მუხამბაზები.

✦ ტფილისის სასულიერო **სემინარიის შენობის** საძირკვლის კურთხევა დღეის ნაცვლად ხვალ მოხდება.

✦ გუშინ, 19 ივნისს, ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას ღონისძიებანი იქმნეს მიღებული კავკასიის „ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების“ წინააღმდეგ, რადგანაც ამ საზოგადოების გამგეობა დიდძალ **ღორს იწერს** რუსეთიდან და ჰყიდის ადგილობრივ ექიმების შეუმოწმებლად, ამით-კი ირღვევა საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანიო.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედიევის განკარგულებით, სახელმწიფო საზაფხულო **საძოვარ ადგილების გასამიჯნავად** ამ დღეებში მიემგზავრება გამმიჯნველთა დასი მროზოროვსკის მეთაურობით ყარსისა, ყაგიზმანისა და ოლთის ოლქებში. გამმიჯნველთა დასი ამ ადგილებში დარჩება მთელ ზაფხულს.

✦ ტურინჯი **ვლასოვის** გაძარცვის გამო პოლიციამ უკვე დააპატიმრა ვიღაც მჭედლიშვილი. ჩაჭუჩი ვლასოვისთვის ამ მჭედლიშვილს ჩაურტყამს. როგორც ეხლა გამოირკვა, ვლასოვის ჯიბიდან ამოუღიათ—750 მან., როდესაც მჭედლიშვილი უჩვენეს ვლასოვს, ამ უკანასკნელმა იცნო იგი.

✦ გუშინ, 19 ივნისს, ტფილისის სახაზინო პალატამ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მან უკვე მიიღო სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციისაგან 1700 ფურცელი ტფილისის 5% მესამე **საობლიგაციო სესხისა**. აქედან 1000 ფურცელი 100 მანეთიან და 700 ფურცელი 1000 მან. ღირებულობისაა.

✦ გაზეთ „კავკაზს“ სწერენ სოფელ წუბენიდან (დუშეთის მაზრა), რომ იქ ეხლახან **საშინელი უბედურება დატრიალდა**: ამ სოფლის მცხოვრებმა ლექსო ხაცირაშვილმა ხანჯლით აჰკუწა ორი გასათხოვარი ქალი, რომელთაგან ერთი კიდეც გარდაიცვალა. მეორე, თუმცა ცოცხალია, მაგრამ იმისი მორჩენის იმედი არა აქვთ.

საქმე ასე ყოფილა: ეს ორივე ქალი, გვარად ბიგანაშვილები, სოფელ ნადაბურიდან, საიდანაც ისინი არიან, წასულან სოფ. წუბენში, სადაც ამას წინად შალი მიუციათ შესაღებად. შალი გამოუთმევიათ და საღამოთი შინ დაბრუნებულან. ნახევარი გზა რომ გაუვლიათ, წინ გადაღობებია იმათ ლექსო ხაცირაშვილი, რომელიც იმ ალაგს ჩასაფრებული ყოფილა, და ერთი მათგანისთვის უტაცია ხელი. დაუწყვიათ ბრძოლა, ქალი არ დანებებია. მეორე ქალს, რომელიც ნათესავად მოხვდება ხაცირაშვილს, უხვეწნია იმისთვის, რომ თავი დაენებებინა ქალისათვის, მაგრამ იმას თხოვნა არ შეუსმენია. მაშინ ქალს უთქვამს, მამასახლისს შევატყობინებო და წასულა კანცელარიისაკენ. ლექსოს, რა დაუნახავს, რომ ქალი მართლა სოფლის სასამართლოში წავიდაო, უძვრია ხანჯალი და რამდენსამე ალაგს დაუჭრია ურჩი ქალი... და რადგანაც ჰგონებია, მოვკალიო, ახლა თავის ნათესავს გამოსდგომია, დასწევია და გულსა და თავში დაუჭრია. ქალი უსულოთ დაცემულა. საღამოთი ამ გზაზე, რომელზედაც ქალები ეყარნენ, გამოუვლია ლეხურის საზოგადოების მამასახლისს. უნახავს დაჭრილი ქალები და იმ წამსვე უცნობებია მახლობელ სოფლისთვის. მოცვივნულა ხალხი. მკვლელის ნათესავი ქალი მკვდარი აღმოჩნდა, ხოლო მეორე მძიმედ დაჭრილი, მაგრამ მაინც ნათლად აჩვენა, როგორც იყო საქმე. ის ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ ექიმის სიტყვით, არ იცოცხლებს. თითონ ლექსო ხაცირაშვილს, როგორც ამბობენ, თავი ჩამოუხრჩვია გორის მაზრის ერთს სოფელში, სადაც შეპყრობას უპირებდნენ.

✦ **წმ. ნინოს ქველ-მოქმედ ქალთა საზოგადოების საბჭო** საყოველთაოდ იუწყება, რომ წმ. ნინოს ტფილისის სასწავლებლის გარედან მოსიარულე შეგირდების სწავლის ფასი პირველი სექტემბრიდან 1902 წლისა იქნება 90 მან. წელიწადში მესამე კლასში და შემდეგ მერვე კლასამდის ყველა კლასებში („კავკაზ“).

✦ სასამართლო პალატამ 18 ივნისს განიხილა საქმე გორის მაზრის მცხოვრების მარიამ სამადაშვილისა, რომელსაც საიდუმლოდ არყის გამოხდა ჰბრალდებოდა. პალატამ უცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სამადაშვილს 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრება მიესაჯა.

✦ დღეს, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში საქმეების განსახილველად სხდომა ექნება ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას.

✦ 18 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე მიხეილ ბაბეევისა, რომელსაც მოქმედებით შეურაცხება ჰბრალდებოდა ბოქაულის გრიგოროვის. ოლქის სასამართლომ, როდესაც ეს საქმე განიხილა, დამნაშავედ იცნო ბაბეევი და მიუსაჯა 4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ ვექილის ტურკევიჩის შუამდგომლობით ბაბეევს 2 თვით შეუმცირა ოლქის სასამართლოსაგან გადაწყვეტილი სასჯელი.

✦ 17 ივნისს, ღამით, ტფილისის მეტეხის ციხიდან, მეჩექმეების სახელოსნოდან, გაიქცა ორი ტუსაღი კუდი-ბაში ოღლი და მელიქოვი, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ პატიმართა რაზმში გაგზავნა. ორივე ტუსაღი მეჩექმეები არიან. ღამის 12 საათზე ეს ტუსაღები დასთხოვიან ზედამხედველს გექილოვს გარედ. ეზოში იმათ ორთავეგირი უპოვნიათ, მიუდგამთ კედელზე და ბანზე აცოცებულან. იქიდან კიდევ გაქცეულან.

✦ სადგურ ბალაჯარიდან იტყობინებიან, რომ 18 ივნისს, ნავთის გადაღების შემდეგ ცისტერნიდან, მუშა დუკა გეორგაძემ წუმწუმა გაჰკრა, რის გამოც უცბათ იფეთქა ნავთმა და გეორგაძეს ტანისამოსზე მოედო. თუმცა მოკიდებული ტანისამოსი მალე გაუქრეს, გეორგაძეს იმდენად დაეწვა ტანი, რომ საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 10 ივნისიდან 18-მდე ტფილისში 5 კაცი ავად გამხდარა შებრუნებულის სახადით, ერთი წითელათი, ერთი ყელის ჭირვებითა და 2 ხურვებით.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლები 16 ივნისს, დილის მატარებლით გელათს წავიდნენ იქაურ მონასტრის დასათვალიერებლად. ცხრა საათზე ისინი უკვე მონასტრის გალავანში იყვნენ, და ცოტა ხნის შემდეგ ქუთაისიდან ეტლით მივიდნენ მონასტერში საეკლესიო-სამრევლო სკოლათა უფროსი ზედამხედველი იმპერიაში ბ-ნი ვ. შემიაკინი, კავკასიაში საეკლესიო-სამრევლო სკოლათა უფროსი გამგე (ინსპექტორი) მამა ვოსტორგოვი, ქუთაისის სემინარიის რექტორი, იმერეთ-გურია-სამეგრელოს საეკლესიო-სამრევლო სკოლათა ზედამხედველები თ. ჟორდანია და მ. კელენჯერიძე.

სტუმრების მოსვლისათანავე წირვა დადგა. მწირველი იყვნენ: რექტორი, მ. ვოსტორგოვი და მონასტრის კრებული. წირვა ქართულ ენაზე შეასრულეს, ჰგალობდა ქართულ-რუსულ მგალობელთა გუნდი ა. ბენაშვილის ლოტბარობით; მონაწილეობას იღებდნენ ქალთა გიმნაზიის მგალობელთა გუნდის ლოტბარი ბ-ნი სოხაძე, სტუდენტი ფოცხვერაშვილი და ქუთაისის სემინარიის რამდენიმე მოსწავლე. ქართულმა გალობამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მლოცველებზე, რომელნიც ბლომად შეიყარნენ ამ დღეს სოფლებიდან.

შემდეგ სტუმრები შეუდგნენ მონასტრის და იმის გარშემო მდებარე ეკლესიების დათვალიერებას და მონასტრის საეკლესიო ისტორიულ ნაშთა და განძთა დათვალიერებას. განმარტებას აძლევდა ბ-ნი თ. ჟორდანია. დიდს განცვიფრებაში მოვიდნენ სტუმრები მონასტრის ვეებერთელა ხელთ-ნაწერებისა, შესამოსლებისა, მიტრბისა და სხვა სამკაულების ნახვით. ზოგმა ისიც აღნიშნა, რომ გელათის საისტორიო სიმდიდრეზე წაკათხული ცნობანი ბევრად უფრო ღარიბია შედარებით იმასთან, რასაც აქ ვხედავთო.

ნაშუადღევის ორ საათზე სტუმრები ქუთაისს დაბრუნდნენ და ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორთან ისადილეს. საეკლესიო-სამრევლო სკოლათა მასწავლებლები კი გელათიდან ფეხით გაემგზავრნენ მოწამეთის მონასტრამდე, დაათვალიერეს ეს მონასტერი და აქედან ქუთაისშიაც ფეხით ამოვიდნენ.

ამ შემთხვევით გვინდა ვისარგებლოთ და აღვნიშნოთ ერთი მეტად ცუდი ჩვეულება ზოგიერთ, მომსვლელთა მონასტერში: სადაც არ მიიხედავთ მონასტრის კედლები დაფხაჭნილია სახელებითა და გვარებით; ხშირად სურათებზედაც არის ასეთი ნაჯღაბნები. ნუ თუ მონასტრის კრებულს არ შეუძლია მორიგეობა დააწესონ თავიანთ შორის, რომ მომსვლელების დროს თვალ-ყური ადევნონ და კედლებზე მჯღაბნელების მოყვარეთ თვალი ადევნონ და არ შეალანძღვინონ მონასტრის კედლები და სურათხატები.

თუ ეს ჩვეულება არ მოიშალა, ჩვენ ერთი-და დაგვრჩენია: მონასტრის კედლებიდან გადმოვწეროთ იმ ვაჟბატონების გვარები, რომელნიც იქ გამოცხადებულია.

✦ 15 ივნისს, ჭომას, ძმათა კაპანაძეებს რაღაც ლაპარაკი მოუვიდათ და უმცროსმა უფროსი ძმა ვასილი სასიკვდილოთ დასჭრა ბერდანის თოფით მარცხენა ბარძაყში. უმცროსი ძმა დაიჭირეს.

რუსეთის ქრონიკა

✦ სასულიერო უწყებას გადაუწყვეტია 1903 წელს დაარსოს 550 ახალი სკოლა სხვა-და-სხვა ტიპისა. ამ ჟამად სინოდის ხელში 17 ათასი ორ-კლასიანი სკოლაა და 22 ათასი ერთ-კლასიანი და წერა-კითხვისა. გადაწყვეტილია აგრეთვე მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოიღონ ყველა სკოლაში ბუნების-მეტყველების სწავლება. ზოგ სკოლებთან გამართული იქნება სამაგალითო ბოსტნები, ბაღები, სკები და სხვა.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო შესდგომია შემუშავებას ახალ დებულებისას იარმუკების შესახებ. ამ დებულებაში მოქცეული იქმნა წესები ყოველ იარმუკებისა: ყოველ კვირეულ, ყოველ თვიურ და წლიურისა და სხვა. დღეს ნებართვის აღება იარმუკის გასამართავად შეიძლება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, ახალის დებულების გამოცემის შემდეგ კი უმთავრესს იარმუკების გამართვის ნება მინისტრმა უნდა დართოს, დანარჩენებისა—გუბერნატორებმა.

✦ მინისტრთა კომიტეტმა შეიწყნარა და მალე გამოქვეყნებულიც იქნება ახალი სადამოჟნო წესდება. ახალი წესდება რუსეთის საზღვრებზე პირველ ივლისიდან შევა ძალაში.

მეტი მოძრაობა იყო (სხვა არა იყოს რა, გაზეთი მაინც გამოდიოდა). ამის შემდეგ კი 1845 წლამდის ახალს არაფერს ვხედავთ, მხოლოთ აღნიშნულ წელს, როდესაც იმ კრიზისის შემდეგ ქართველობამ ხელ-ახლათ ძალ-ღონე მოიკრიბა, გამოდის ახალი ორგანო: „მახარობელი“. *) ამ გვარათ 1832 წელი იყო ის პუნქტი, რომლის შემდეგაც საქართველოს ჰორიზონტი სრულიად შეიცვალა: შებინდდა, დასავლეთი დაიბურა, ნისლით შეიმოსა და აღმოსავლეთისკენ კი ჯერ არა მოსჩანდა-რა. აი რა დროს ხვდა წილათ ცხოვრება ბ—ლს. რასაკვირველია, ამ მიზეზით ბ—ლსაც წარსულისათვის თავი უნდა დაენებებინა და მომავალში ეძებნა თავისი „ბედის ვარსკვლავი“. ასეც მოხდა. ბ—ლმა წარსულთან გაათავა ყოველივე ანგარიში. თუმცა მას მაინც თვალსა სტაცებდა წარსული, იქ ისეთი კაცები ეგულებოდა, როგორც სოლომონ მსაჯული და მისი მეუღლე, რომელიც ჰერ-ქვეშ თავისუფლებას უცხოობაში ფუფუნებით ცხოვრებას ამჯობინებს, მაშინ როდესაც ეხლანდელ ქალებს ჩრდილოსმან ქარმან გული ყველაზედ უწინ შეუცვალა; მაგრამ ბ—ლი მაინც გრძნობდა, რომ წარსულის დაბრუნება შეუძლებელია და, ვისაც სიცოცხლის სხივის დანახვა უნდა, მომავლისაკენ უნდა მიაპყროს თვალნი. მხოლოთ ამიტომ სტოვებს ის სატრფიალო წარსულს და გადაწყვეტით ამბობს:

მაგრამ ამაო იყო ყოველი,
დიდი ხანია გულს ირაკლისა
გადუწყვეტია ბედი ქართლისა.

ამიტომ არის, რომ ის „თაყვანს სცემს ირაკლის ნაანდერძევს“, როგორც თვითონ ამბობს ერთ ლექსში, მაშინ როდესაც გრ. ორბელიანი იმედ-გადაწყვეტით უარ-ჰყოფს ამ ნაანდერძევს, რადგანაც იმის აზრით:

> „მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
> დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს.“

აი რა გარჩევაა ძველ და ახალ თაობას შუა. მაგრამ ახალი თაობა მარტო ამ აზრზე ვერ დამშვიდდებოდა, რომ თაყვანი უნდა ვსცეთ ირაკლის ნაანდერძევსაო. მას უნდა ეს ნაანდერძევიც ეპოვა და გამოეცნო, რა ცვლილება მოჰქონდა ქართველთათვის მათ მეფის ნაანდერძევს. რადგანაც პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველომ სრულიად დაჰკარგა, ჩვენ ცვლილება უნდა ვეძიოთ სოციალურ წეს-წყობილებაში.

თავადობამ, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ყოველ-გვარი ფეოდალური უფლებები დაჰკარგა. ამ უფლებებთან ერთად დაეცა საქართველოში ყოველივე ის წესი, რაც ფეოდალიზმს ნიადაგს უმაგრებდა. ეს წესწყობილება იყო მხედრული წეს-წყობილება. მუდმივი მტრისაგან მუქარა ქართველებს იძულებულ ჰყოფდა, რომ სამხედრო საქმისათვის უმთავრესი ყურადღება მიექციათ. ამიტომაც თავადების საპატიო ხელობა იყო მხოლოდ ომი და პოლიტიკა. მრეწველობას კი მათ თვალში უკანასკნელი ადგილი ეჭირა. ეს მხოლოდ დაბალი წოდების საქმე იყო. ამგვარად მაღალი და დაბალი წოდება ერთმანეთისაგან დაშორებულნი იყვნენ. მხოლოდ ხან-და-ხან თუ შეერთებოდნენ ერთად მტერთან საბრძოლველად. ამიტომ თუ იყო ის, რომ წოდებათა შორის სისტემატიური ბრძოლა არ ყოფილა საქართველოში. მეცხრამეტე საუკუნეში-კი, როდესაც მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შეკავშირება საჭირო აღარ იყო, ყველას უმთავრესი ყურადღება უნდა მრეწველობისათვის მიექცია. მართალია, ბარათაშვილის დრომდის ეს ნაკლებათ ემჩნეოდა თავადობას: ისინი ჯერ-ჯერობით თავის საპატიო ხელობას ვერ განშორებოდნენ, მაგრამ ბ—ლის დროიდან, როგორც სჩანს, თუმცა ბუნდათ, მის წერილებიდან, იწყება თავადობაში ახალი მიმართულება, ე. ი. თავის მიწისადმი მიქცევა. ამიტომ ამ დროიდან თავისათვის მისი მიწათ-მფლობელობის უფლებები უფრო ძვირფასი შეიქმნა. იმან დაიწყო ცდა, რომ თავის მიწიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ენახა. ამან თავადიშვილი გადააქცია თუ მრეწველათ არა, თავის მამულების დ ყმების მეთვალყურეთ მაინც. ამგვარად თავადი გლეხს დაუახლოვდა და, რასაკვირველია, ის სარგებლობა, რასაც პირველი მიწაში ეძებდა, უნდა გლეხისაგან ამოეწოვა. თავადის ინტერესი შეეხალა უმდაბლეს წოდების ინტერესს და დაიწყო სისტემატიური ბრძოლა მაღალ და დაბალ წოდებათა შორის. ამ ბრძოლამ გლეხებ შორის შეჰქმნა ისეთი გმირები, როგორც არსენა, ან კაკო ი. ჭავჭავაძის პოემაში. თუ საქართველოში საქმე მთელი გლეხობის აჯანყებამდის არ მივიდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ალექსანდრე II-ის რეფორმამ დროზედ მოასწრო. ამ გვარად საქართველოში მოხდა ის ცვლილება, რაც დასავლეთ-ევროპაში მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში. და ეს ამტკიცებს, რომ უმთავრესი მომენტები სხვა-და-სხვა ერების განვითარებისა, ერთი და იგივეა ყველგან. ყოველივე ეს ცვლილება ბარათაშვილისათვის შეუმჩნევლად არ ჩაივლიდა. ეს წოდებათა შორის ატეხილი ბრძოლა ახალ დროს მოასწავებდა და ახალ კითხვებს აღძრავდა. ამ ახალ კითხვების გადაწყვეტაში უნდა გამოხატულიყო ჩვენი მომავალი, რომელსაც ბ—ლი ეძებდა და რომელთ გადაწყვეტა იმას არ შეეძლო ჯერ ერთი იმიტომ, რომ ახალი ბრძოლის სასწორი ჯერ არც იქით და არც აქეთ არ იხრებოდა, ე. ი. ბრძოლა საკმაოდ არ იყო გამწვავებული; მეორეც იმიტომ, რომ ბ—ლი საკმარისათ არ იყო განვითარებული, რომ ასე მალე ბრძოლის დასაწყისშივე გამოეცნო ვისკენ გადასწევდა სასწორი. ისიც კი არ იცოდა ბ—ლმა, თუ ამ ბრძოლაში იურიდა თავს მაშინდელი საჭირ-ბოროტო კითხვები. ეს არა ნორმალური მდგომარეობა ბ—ლს მხოლოდ აღელვებდა და მისავე შეუმჩნევლად თვითონ იმასაც არა ნორმალურ კაცად აქცევდა, რომელსაც არც სურვილი და არც ლტოლვილება გამორკვეული არა აქვს. ფიქრით და ბრძოლით კი ბევრს იბრძოდა ბ—ლი, რომ ცხოვრებაც გამოერკვია, თავის სურვილიც დ მომავალიც. ამ მხრივ ბ—ლი აწმყოს არ ეკუთნოდა და ამიტომაც გრძნობდა თავს ობლად, როგორც სჩანს იმის ლექსში: „სული ობოლი“.

(დასასრული იქნება)

---

*) Гр. Кипшидз. пер. печ. на Кавк.

◆ სასულიერო უწყებას გადაუწყვეტია სხვა ნაირად მოაწყოს კონსისტორიები და სასულიერო-სამოსამართლო ნაწილი. აზრადა აქვთ დააწესონ მეორე ხარისხის სასულიერო მოსამართლეთა თანამდებობანი.

◆ მთავრობა სცდილობს თავის ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის რაც შეიძლება ნაკლები იარაღი და საქონელი გამოიწეროს საზღვარ-გარეთიდან. ამით მთავრობა მეცადინეობს მფარველობა გაუწიოს ადგილობრივ მრეწველობას. მაგრამ განსაკუთრებულ კომისიაში, რომელსაც ეს საქმე აქვს მინდობილი, გამოირკვა, რომ ადგილობრივი მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას: სხვა ქვეყნის ნაწარმოები ბევრად უფრო იაფია, ვიდრე რუსეთისა; იქაური ნაწარმოები უფრო კარგია და ამას გარდა ზოგიერთი ნაწარმოები არ მოიპოვება რუსეთში. სხვათა შორის, საზღვაო და სამხედრო უწყების წარმომადგენელთ განაცხადეს კომისიაში: ჩვენ რომ ყოველივე რუსეთში ვიყიდოთ, 80—100 მილიონი მანეთი მეტი დაგვიჯდება, ვიდრე ეხლაო. კომისიამ, ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით, მაინც დაადგინა, რომ სამხედრო და საზღვაო უწყებებმა უეჭველად ყველაფერი ადგილობრივ ქარხნებს შეუკვეთონ და საზღვარ-გარეთიდან არაფერი გამოიწერონ.

◆ აზრადა აქვთ, რკინის გზებზე მოაწყონ ცეცხლის საქრობი რაზმები. გზათა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია წესდება და გზების გამგეობათათვის დაუგზავნია განსახილველად.

◆ მთავრობა შესდგომია ახალ კანონის პროექტის შემუშავებას. ამ კანონის ძალით ქარხნის მუშებისათვის უზრუნველ ყოფილ უნდა იქმნას მკურნალობა და წამლები.

◆ ლ. ნ. ტოლსტოი სრულიად მორჩენილა ავადმყოფობისაგან. ეხლა თავისუფლად დადის, მუშაობს და სწერს თურმე.

◆ ამ წლის შემოდგომაზე პეტერბურგში მოხდება გადასახადთა ინსპექტორების კრება. კრებამ უნდა გადაათვალიეროს დებულება სამრეწველო გადასახადების შესახებ.

პრესსა

სკოლის რეფორმასთან ერთად რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ლაპარაკი ჩამოვარდა სამშობლო ენის გაძლიერებაზედაც. ამის შესახებ „პრავ. ვესტნიკ“-ში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. ეს გაზეთი, რასაკვირველია, რუსულ ენის შესახებ სწერდა და ამბობდა, რომ დაბალ სკოლებში ამ ენის სწავლების საქმე კარგად უნდა იქმნას დაყენებულიო. ეხლა „პეტერ. ვედომ.“-ში დაიბეჭდა წერილი ამ სათაურით: „სამშობლო ენა სახალხო სკოლაში.“ ავტორი ამბობს:

> სამშობლო ენა ხალხისა უდიდესი ფაქტორია განათლებისა. მეორეს მხრით ნიადაგს მოკლებულია და მკვიდრი არ არის ის განათლება, რომელიც სხვა ენით ვრცელდება და არა იმითი, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს, ჰგრძნობს, ჰფიქრობს, და რომლითაც იმის სულიერი ცხოვრება იხატება.

ავტორს მხედველობაში მალაროსები ჰყავს და ამბობს, რომ სკოლების გამართვის დროს ეს ზემო მოყვანილი ჭეშმარიტება მხედველობაში უნდა იქმნას მიღებულიო.

> ის პედაგოგები, განაგრძობს ავტორი, რომელნიც მალაროსების გუბერნიებში მოღვაწეობდნენ, ერთხმად საჭიროდ სცნობდნენ მალაროსიულ ენის შემოღებას სახალხო სკოლაში. ამგვარისავე აზრისანი იყვნენ ერობანი და სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოებანი, რომელთაც არა ერთხელ აღძრეს ლაპარაკი სახალხო სკოლაში ადგილობრივ ელემენტის შემოღების შესახებ, მაგრამ, მისდა-მიუხედავად, ეს საქმე დღესაც ვერ ეღირსა გადაწყვეტას.

იმ განსხვავების მეოხებით, რომელიც სკოლაში გაბატონებულ და ბავშვთა სალაპარაკო ენებს შორისაა, მალაროსიული ბავშვები დიდ გაჭირვებაში ვარდებიან. ველიკორუსის ბავშვი წიგნში სამშობლო ენას პოულობს, იმ ენას, რომელსაც დედის ძუძუსთან ერთად შეეჩვია. საკითხავი მასალა შეესაბამება ბავშვის გონებას და მთლად იმის ცხოვრების მოწყობილებას. სულ სხვა გარემოებაშია მალაროსიელი ბავშვი. სკოლაში შესვლისას იმან არ იცის რუსული ენა, თუმცა ამ ენით ცოდნა უნდა შეიძინოს. მთელი დრო, შრომა და მეცადინეობა რუსულ ენის შეთვისებას უნდება და ამიტომ უპირველესს საქმედ სკოლაში ცოდნის შეძენა კი არა, რუსულის ენის შეთვისება ჰხდება. შედეგი ასეთის სწავლისა აშკარაა: მოსწავლე ვერც ცოდნას იძენს და ვერც რუსულ ენას სწავლობს.

ყველა ამის გამო საჭიროა, ავტორის აზრით, სკოლების დაარსების დროს მიღებულ იქმნას მხედველობაში მცხოვრებთა ეტნოგრაფიული თვისებანი და ენა, რომელზედაც მცხოვრებნი ლაპარაკობენ, ხოლო სახელმძღვანელოების შედგენის დროს—ცხოვრების პირობანი და ადგილობრივი ბუნება, რომ სახელმძღვანელოში ბავშვისათვის ყველაფერი ნაცნობი და შინაური იყოს. ავტორს ცნობილ პედაგოგის ვესსელის აზრიც მოჰყავს სამშობლო ენის მნიშვნელობის შესახებ.

> ხალხს სამშობლო ენაზე უნდა ესწავლოს, ამბობს ვესსელი: ენის აღკრძალვა ნიშნავს შერყევას ხალხის აზრ-გონებისას, განვითარების მოსპობას, სულიერ ცხოვრების დადუნებას, ხალხის მუდამ ბავშვად დატოვებას. არც იმ შემთხვევაში ეყრება ხალხს ხეირი, როდესაც იმისი ენა მახლობელია, მონათესავეა სკოლაში გაბატონებულ ენისა. ასეთ შემთხვევაში მახინჯდება დამოუკიდებელი განვითარება ხალხისა, მთლად იმისი ბუნება.

თუ მალაროსთათვის, რომელთა ენაც ახლო მონათესავეა რუსულისა, ასეთი შედეგი მოსდევს არა სამშობლო ენაზე სწავლებას, რაღა უნდა იყვეს ქართველთათვის, რომელთა ენასაც არაფერი საერთო არა აქვს რუსულთან?

უცხოეთის წვრილი ამბები

მოხერხებული ძმის წული. ამ დღეებში საფრანგეთის ერთს პატარა ქალაქში ქალაქის მერი (უფროსი) და სამუნიციპალო საბჭოს წევრები ძალიან მოხერხებულად მოატყუა ერთმა ახალგაზრდა კაცმა.

როგორც კი დააპირა მერმა თავის ბიუროდან წასვლა სასაუზმოდ, ამ დროს ვიღაცა ყმაწვილი კაცი მოვიდა და შედეგი მოახსენა:

„ბატონო მერო, მე თქვენთან გიახლით მახარობლად ჩემის უფროსისაგან, ნოტარიუს ფ—საგან, რომელთანაც მე ვმსახურობ. ქალბატონმა ვ., რომელსაც დღეს, ნაშუადღევის პირველს საათზე ასაფლავებენ, მთელი თავისი ქონება, დაახლოვებით 300,000 ფრანკად ღირებული თქვენ მუნიციპალიტეტს უანდერძა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, წინად გვეცნობებინა თქვენთვის ეს ამბავი, რომ იქნება მოისურვოთ დასწრება დასაფლავებაზე.

— რა თქმა უნდა! უთუოთ, უთუოთ,—უპასუხა გახარებულმა მერმა და მაშინათვე უბრძანა თავის მდივანს, საბჭოს ყველა წევრებისთვის ეცნობებინა, რომ ყველანი ეკკლესიაში შეყრილიყვნენ ქალბ. ვ.—ს დასაფლავებაზე, რომელმაც მთელი თავისი ქონება საბჭოს დაუტოვა.

როგორც ნათქვამი იყო, ისე მოხდა კიდეც. ყველა წევრები მერის მეთაურობით წირვას დაესწრნენ და შემდეგ მიცვალებული საფლავამდინაც მიაცილეს დიდის ამბით. მერი სახლში რომ დაბრუნდა, ელდა ეცა! სახლში დახვდა იმას შემდეგი წერილი:

„გთხოვთ მომიტევოთ, რომ ტყუილად გაგსარჯეთ. მამიდა ჩემს არაფერი ქონება არ დაუტოვებია, მხოლოდ ძალიან მეძნელებოდა მე რომ მარტო გავყოლოდი საფლავამდის იმის გვამს და ძალიან მინდოდა იმის „გაპატიოსნება“, რადგანაც მამიდა ჩემი საშინლად მიყვარდა.

განსვენებულის ძმისწული“.

⁂

მეხის ოინები. 27 აპრილს საფრანგეთის ერთ სოფელში მინდორში მუშაობდენ გლეხი პანტალონი და იმისი ორი შვილი. უცბად ჭექა-ქუხილი ასტყდა, ამათ სახლისკენ მიაშურეს. როდესაც სირბილით სახლთან მივიდნენ, ჩამოვარდა მეხი, სახლს დაეცა, შუაზე გააპო და თითონ საბრალო გლეხი—მამაც მოჰკლა; იმის შვილებს არაფერი არ დაუშავდათ, მხოლოდ... დედიშობილა დარჩნენ! იმათი ტანისამოსი უცბად სადღაც გაქრა.

მეხის ამგვარი ოინები პირველი არ არის.

⁂

ბებერი კუ. ნიუ-იორკის ზოოლოგიურს ბაღში ეხლახან მოკვდა უზარმაზარი კუ, რომელიც რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა ამ ბაღში. ეს კუ იწონდა ცხრა ფუთზე მეტს და ზურგით ადვილად უძლებდა სამს კაცს ერთად. ამერიკული გაზეთები ამბობენ, რომ ეს კუ ოთხასი წლისა იყო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივნისი

პეტერბურგი. ცარსკოე სელოში დაიწყო მისი უდიდებულესობის კირასირთა პოლკის ორასი წლის იუბილეის დღესასწაულები.

ლონდონი. ტიანცზინიდან იტყობინებიან, რომ კვირას წავიდა ოთხასი ფრანგის და ორასი გერმანიის ჯარის კაცი.

ჰელსინგფორსი. 19 ივნისს დაიწყება ბილდოების კატეგორიის ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრებისათვის. 700 მეტი მეცნიერი მოვიდა. კრება გაიხსნება 24 ივნისს, დაიხურება 29-ს.

ვარშავა. ვარშავა-ვენის რკინის გზის ვაგონების სახელოსნო დაიწვა; ზარალი ნახევარი მილიონია.—„ვარშავსკი დნევნიკი“ იტყობინება, რომ რვა თვის განმავლობაში გერმანიის ფირმების სააგენტოებს ისე შეუმცირდათ მუშაობა, რომ ზოგიერთებმა მიატოვეს საქმის წარმოება.

კრონშტადტი. საფრანგეთის კრეისერი ზღვაში გავიდა.

ჰელსინგფორსი. მოვიდა გემი „ადმირალი ჩიჩაგოვი“. 19 ივნისს მოელიან საფრანგეთის სამოსწავლო კრეისერს.

ქემმერნი. გოგირდის აბანოები გაიხსნა, დღე-ღამეში 50,000 ვედრო წყალს იძლევა.

პეტერბურგი. გაიხსნა იმ-კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა დაადგინოს პირდაპირი მიმოსვლა რუსეთისა და ფინლანდიის რკინის გზებზე.

19 ივნისი

სოფია. „ბულგარიის ტელეგრაფის სააგენტო“ აცხადებს, რომ ტყუილია ის ამბავი, ვითომ ბულგარია სამხედრო კონვენციით შეეკრა რუსეთსაო.

ლონდონი. ბიულლეტენი საღამოს 7 ს.: „მეფე თან-და-თან უკეთ ხდება. მადა მოემატა. ჭრილობა ნაკლებ სტკივა. ცოტაოდენი შრომაც კი ასუსტებს მეფეს“.

კილი. გემი „ზარნიცა“ და კრეისერი „სვეტლანა“ საღამოს 7 საათზე გოლტენაუს არხისაკენ წავიდა.

ეკერნფენდე. „ზარნიცა“ და „სვეტლანა“ საღამოს 9 საათზე აქაურ ნავთსადგურში შევიდნენ და გემის „ჰოჰენცოლერნის“ დროშას საღამოში მისცეს ზარბაზნების სროლით.

ბაქო. საბუნჩოს სადგურს ახლო დაიწვა 8 ვიშკა ფითოევისა, 5 ნობელისა და 2 კრასილნიკოვისა.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი შესახებ პენსიის პროექტისა მღვდლებისა და მედავითნეებისათვის.

სტატს-სეკრეტარს ვლანგალის ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, ბრილიანტებით მოჭედილი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 14 ივნისს.

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	$46{,}02\frac{1}{2}$	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{3}{4}$	მყიდვ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98\frac{3}{4}$	„
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$356\frac{3}{4}$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$287\frac{1}{4}$	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$85\frac{5}{8}$	„
$4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა		
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$89\frac{1}{4}$	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	170	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში

ნომრები

„ფრანცია“

საზაფხულო სეზონისათვის

ნომრები თვიურად ღირს 15 მანეთიდან არა უმეტეს 30 მანეთამდინ, დღე-ღამეში მანეთზე დაუკლებთ 40 პროცენტს. თვიურ მდგმურთათვის გასაგრილებელი „დუშიც“ უფასოდ არის. (3—1)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37,50 ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

მაღაზია

ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გადუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—39)

ელექტრონით მბეჭდავი [illegible] წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.